საიდ. №71515/03

IR 989107

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №113-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „დოელერ გმბჰ” („DÖHLER GmbH”) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №113-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 მაისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1143/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS” (საიდ. №71515/03 IR 989107) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (32-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 მაისის №1143/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ კომბინირებულ ნიშანს „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „Society with limited responsibility "DOEHLER NATURAL FOOD AND BEVERAGE INGREDIENTS“ (მისამართი: 2/1, st. 2-ya Zvenigorodskaya, RU-123100 Moscow; RU) სახელზე 32-ე კლასის მსგავსი და იდენტური საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „Doehler“ (IR 856634, რეგ.თარიღი:2005-05-31). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. განცხადებულ ნიშანში დამატებით სიტყვიერი ნაწილის, „NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS“ არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმაო განმასხვავებლობას, რადგან აღნიშნული სიტყვიერი ნაწილი დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება და ნიშანში ძირითად სიტყვას წარმოადგენს „DÖHLER“, რომელიც დაპირისპირებული ნიშნის იდენტურია როგორც ჟღერადობით, ისე ვიზუალურად. გამოსახულების არსებობა ასევე, ვერ განასხვავებს ერთ ნიშანს მეორისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „დოელერ გმბჰ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აფილირებულ კომპანიებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დოელერ ნეიჩერალ ფუდ ენდ ბევერიჯ ინგრედიენტს" თანახმაა, მიენიჭოს დაცვა საქართველოში კომპანიის „დოელერ გმბჰ" კუთვნილ სასაქონლო ნიშანს IR 989107, რის დასტურადაც სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი. აპელანტის პოზიციით, აღნიშნულის გათვალისწინებით, აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 მაისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1143/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS" (საიდ. №71515/03 IR 989107) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო

საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „დოელერ ნეიჩერალ ფუდ ენდ ბევერიჯ ინგრედიენტს" მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია აცხადებს თანხმობას საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS" (IR 989107) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „დოელერ გმბჰ" სახელზე. ამავე თანხმობის წერილში ასევე, მითითებულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია წარმოადგენს განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის შვილობილ კომპანიას. კოლეგია თვლის, რომ ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის მონათესავე კომპანიებს, შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS" (საიდ. №71515/03 IR 989107) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული

საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „დოელერ გმბჰ” („DÖHLER GmbH”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 06 მაისის №1143/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS” (საიდ. №71515/03 IR 989107) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „DÖHLER NATURAL FOOD & BEVERAGE INGREDIENTS” (საიდ. №71515/03 IR 989107) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ქ. კილაძე

წევრები: ლ. კერესელიძე

ლ. ახობაძე